ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასოფლო გაზეთი


გაზეთის ფასი:

| | გაგზავნით თფილისში გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| თი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ხევარი წლისა | —3 — | — 2 მ. — |
| მ თვისა | —1 მ. | — 1 მ. — |

მეექვსე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება:
თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი-
*Въ Тифлисъ, въ контору редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографій Г Церетели и к°. (Дубелира).*

№ 2 ორშაბათი — VI — 30 იანვარს, 1873 წ.


## განცხადება

### «სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე

### 1873 წელს

მომავალს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება ული წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა.

### ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:

ტფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კამპ. სტამ ში, ბებუთოვის სახლში ხანის ქუჩაზე.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ნიკოლაძის სახლებში სილაზე.

ტფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბა- ონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «Сельской Газеты,» на Ханской улицѣ. . Бебутова.*

### ხელმოსაწერი ფასი:

| ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგი- | გაუგზავნელათ. | გაგზავნით. |
|---|---|---|
| ლებში — — — — — — — — — | 3 მან. — — | 4 მან. |
| ნახევარის წლისა — — — — — — — — — | 1 მ. 50 კ. | 2 მ. |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვი თვალონ თვისი სახელიგვარი და ადგილ-სამყოფი.

ბიბლიოთეკა


შინაარსი:

სოფლის მოსამართლეებს. — ქიზიყში შიმშილის. — «დროებიდგან» გადმობეჭდილი სია ფულის შემწირველთა. — სოფლის სამხანაგო ბანკი. — სამეურნეო ნაწილი: — სხოების მოვლა საქმით ცნობები. — ოზურგეთიდგან კორრესპონდენცია. კერძოობითნი განცხადებანი.


## სასოფლო მოსამართლეებს

ამ უკანასკნელს წლებში ჩვენს ქვეყანაში ძალიან გახშირდა შიმშილობა. ეს ხუთი ექვსი წელიწადია ისეთი მოსავალი აღარ მოსულა, რომ ყოველგან კმაყოფილნი დარჩენილიყვნენ. კახეთში თუ რამე მოვიდა, იმ წელს უეჭველათ იმერეთი დაიმშევა. იმერეთში თუ რიგიანი მოსავალი შეგვემთხვა, იმედი არ არის რომ ან ქართლი ან კახეთი არ წამხდარიყოს მოსავალით. ეს სამი წელიწადია მაინც კახეთისკენ თითქმის მუდამ იმშევა ხალხი. ამისთანა გარემოება რასაკვირველია შემთხვევას, ან რამე წარმავალს მიზეზს არ მიეწერება. აქ უფრო სხვა რამე მკვიდრი გარემოება უნდა მოქმედებდეს და მაინც აგრეა. რისთვის არ მოდის მოსავალი?—ამისთვის რომ ნამი ციდგან ჩამოვარდნილი, წვიმა აღარ ჰყოფნის ყანებს. ყველასგან შენიშნულია,

რომ საქართველოში უწინდელათვე აღარ მოდის არც წვიმა, აღარც თოვლი. მაშასადამე ბუნება ისე შეიცვალა, რომ კარგს მოსავალს ვეღარავინ ხედავს, ჰავა გამოიცვალა ჩვენ საწინააღმდეგოთ. აბა ახლა რა გვმართებს?—ბუნება და ჰავა ისეთი საგნები ან არსებები ხომ არ არიან, რომ ადვილათ რამე მოეხერხებოდეს. მაგალითად, მე თუ ჩემმა მოსამსახურემ არ გამიგონა, ტანს არ ჩამაცვა, ხადილი არ გამიკეთა, ან დატუქსვით, ან წყრომით ისევ დავიმორჩილებ და თუ ნებას არ დამყვა, ჩემი ბძანება არაფრათ ჩააგდო, შემიძლია გამოვცვალო და იმის მაგიერათ უფრო მორჩილი და გულს მოდგინე მოსამსახურე დავიჭირო. ან ვთქვათ ძროხამ აღარ მოიწველა, შემიძლია ის გავყიდო და და სხვა ვიყიდო. ან ვთქვათ წისქვილმა აღარ დაფქვა როგორც რიგია, შემიძლია ჩარხი უკეთ მოვაწყო, წისქვილის ქვები გამოვუცვალო და ისევ უწინდულათ აავბრუნო; წყალიც რომ დააკლდეს, იმასაც მოვეხერხება რამე, წყლის მაგიერათ შეიძლება ქარით დავატრიალო. მაგრამ ჰავის გამოცვლას რა მოვუხერხდება? რომ წვიმა არ მოვიდეს ცას ვერც დავემუქრებით, ვერც გაუწყრებით, ვერც სხვა რამე საშვალებას ვიხმართ, რომ დავიმორჩილოთ და ჩვენს ნებაზე წვიმაც მოგვცეს და და დარიცა. ეს არ შეიძლება. რაკი ერთხელვე გამოიცვლება ან ჰავა, ან მიწის მომცემობა, შემდეგ ამას აღარა გაეწყობა რა, ისევ ჩვენვე თუ არ გამოვიცვლებით, ჩვენ თუ არ გამოვცვლით ჩვენს მოქმედებას იმის შესამგზავსებლათ. ნათქვამია წყალი თუ შენ არ მოგყვეს, შენ თვითონ მიჰყევიო. რაკი ბუნება გამოიცვალა, იმას აღარა გაეწყობა რა. კაცი ჯერ იმდენათ არ გაძლიერებულა სწავლა-მეცნიერებით, რომ ბუნება სრულიად დაიმორჩილოს, რაც უნდა ყოველს წამს ის აკეთებინოს. ამ შემთხვევაში ის უფრო ძლიერია ჩვენზე და მაშასადამე იმას აგრე ადვილათ არა მოუხერხდება რა. ისევ ჩვენ უნდა დავნებდეთ იმის მძლავრობას, რაც შეეფერება გამოცვლილს ჰავას და ბუნებას, იმნაირათ დავიწყოთ ჩვენი საოჯახო საქმეები, იმნაირათაც მოვრთოთ ცხვრების საძიებელი საშუალება. მაგალითად ჭირნახული აღარ მოდის, მაშ ცოტ-ცოტათ აღებმიცემობას და ხელოსნობას უნდა მივყოთ ხელი. ამას უნდა, რასაკვირველია ფული. განა თვითონ მიწის მოსავლის გაუმჯობესობა და ჰავის უწინდელს დონზე დაყენება არ შეიძლება?—რატომ არა, გაიყვანე მთელს საქართველოში მშვენიერი სარწყავი რუები, გააშენე მთებზე და მინდვრებში უგუნური კაცის ხელისაგან გამწყდარი ტყეები და თვითონ შეიტყობ, რომ ჰავაც თანდათან გაკეთდება და შიმშილის წელიწადებიც აღარ მოვლენ. მაგრამ ამას უნდა დიდი სწავლა ბევრი ფული ჩვენ ასე უცებ სად მოვესწრებით ამისთანა ცვლილებას ჩვენს ხალხში. ჩვენ გვინდა დღეს დაშეულს ქვეყანასა მიეცეს ცოტარამე შეღავათი ამისგამო ჩვენმა სოფლის ხალხმა ამ გარემოებაში აღებმიცემას უნდა მოჰკიდოს ხელი. აი, სომხები. ეგენი არც ხვნენ, არც თესვენ მაგრამ ცხოვრობენ დიდ-კაცურათ, აიღე ურიები ხომ სულ ხელს არ განძრევენ მიწის მუშაობისათვის; მაგრამ სულ ფულით არიან ჩაქცეულნი. მაშ ჩვენ რაღა დაგვემართა? ჩვენც მოვკიდოთ ხელი ვაჭრობას, ხელოსნობას და ყოველ ნაირ აღებ მიცემობას. ცხოვრების საშვალება მხნე და გამბედავი კაცები არის. მაშ მოდი ჩვენცა გავბედოთ. ნუღა შევჩერებივართ ხელგულდაკრეფილ ცასა და დედა მიწას. ნუთუ ვეღარ შევიტყვეთ, რომ მაგათგან აღარა გამოდიან ჩვენ საცხოვრებლათ.

რადგან ყველა აღებ მიცემას ფული სჭირდება, ამისათვის ჩვენ ისეთი რამე უნდა მოვიგონოთ, გავაწყოთ, რომ ყოველ დაჭირებაზე ფული გვეშოვებოდეს. ამისთვის საჭიროა სასოფლო ბანკების გახსნა; რადგანაც ყოველს კაცს შეუძლიან ფულის გამოტანა. ამასთან ტფილისს წვრილმანი ხელოსნობა მართავს ამისთანა ბანკს. ამ ბანკის წესდება მალე დამტკიცდება, და შემდეგ იმედია, რომ ამ ბანკის წესდება მთელს ჩვენ სოფლის საზოგადოებათა გამოადგეს. ამისთვის ჩვენ სოფ... ლის მამასახლისებს ვურჩევთ მხედველობა... იქონიონ ეს ამბავი. როცა წესდება დამ... კიცდება სასოფლო გაზეთის რედაქცია ა... ნობებს «სოფლის სასამართლოების მოხელ... კაცებს და მაშინ იმედია ისინი აცნობებ... ყოველნაირ თავის გარემოებას და სურვილ... თვითონ სასოფლო გაზეთის რედაქციას, რო... შელიც თვითონ იკისრებს ამ შემთხვევაშ... ამათ ხელმძღვანელობას.

## ქიზიყში შიმშილია

ამ უკანასკნელ ჟამს საშინელი ამბები გვესმ... ქიზიყიდგან. უბედურ ადამიანს ქვა აღმართზე მოე... წევა, ნათქვამია სწორეთ ქიზიყელებს ეს ამბავ... დაემართათ. მდიდარი ქვეყანა იყო ქიზიყი, გლე... ხობა გაკეთებული იყო, ამ ბოლოს დროებ... სულ ვალებში ჩაცვივდნენ ჩვენი სოფლის გლე... ხები და ამისა გამო ბევრმა და ბევრმა სოფელმ... თავისი მამაპაპის ადგილები დაჰკარგა. სიღარიბ... ძალიან შეედვა ხალხსა, ისე რომ აღარ იციან გლე... ხებმა, რა ქნან და სად წავიდნენ.

ახლა ამ წლევანდელმა სიცივემ და გვალვა... ყანები განადგურა და ვენახები სულ ააოხრა. შე... მოდგომას კიდევ როგორც იყო სალხი გამოდიოდა; რავა დაზამთრდა, სულ ყველა ღონისძიებ... მოაკლდა და ცარიელი დარჩა უპურობა, უპალასობა, შინ უსოვრობა ძალიან დააწვა კისერზე ქიზიყის ღარიბ კაცსა. ესლა ამ შუა ზამთარში შიმში... ლია და დიდი გაჭირვება. აი რა რიგ ამბავს იწ... რებიან «დროების» გაზეთში:

უფ. რედაქტორო! ათ-თხუთმეტ წლის წი... ნათ ნახევარი სიღნაღის მაზრა, კარდენახ... ქვევით (ქიზიყი), სადაცა ბატონ-ყმობა თავ... დღეში არა ყოფილა, ძლიერ მდიდარი იყო... ნახევარზედ მეტს მთელი ქიზიყის ოჯახიშვ... ლებს იმდენი პური და ღვინო ჰქონდათ... ომ ქვევრებს და ორმოებს ვერა შოულო...

...ენ იმათ შესანახათ; იმდენი ცხვარი, ძრო... და ღორი ჰყვანდათ, რომ არ იცოდნენ ...თი რიცხვი; მთელს სოფელში ძლივ იპო... ...და ორი-სამი კომლი, რომ წლის სარ... ...არ ქონიყოს; ქიზიყელს კაცს მათხოვ... ძალიან იშვიათათ ჰპოვებდით. ერთის ...ყვით, ქიზიყი იყო სავსე ყველა ჰირნახუ... ...ოთა და სიკეთითა.

...ათ თხუთმეტს წლიწადს ქიზიყი სრუ...ით გამოიცვალა. ხალხი საშინლათ და...იბდა; ძნელათ იპოვება სოფელში ოჯა... რომ წლის სარჩო პურისა და ღვინისა ...ქონდეს; ძნელათ იპოვება ოჯახი, რომ ...მდინ არ იყოს გაჩურთული ვალით; რა ...ელი საქმები ხდებიან, ეს სჩანს შემდე...ქტიდგან: ჯუგანში მცხოვრებელმა, აზ...მა დიმიტრი მატაბელოვმა მითხრა, რომ ...ს დედაკაცმა, რომელიც ადრე იმასთანა ...ლა მოსამსახურეთ, შიმშილისა გამო, ...ბს მიყიდა თავისი ქალიო...

...დესაც კარგი ოჯახიშვილები ესეთ მდგო...ბაში ჩაცვივდნენ, თქვენ ადვილათ წარ...გენთ, რა მდგომარეობაში უნდა იყოს ...ი ხალხი: საკმაო იქნება მოგახსენო, ...ნახევარზედ მეტი ხალხი წავიდნენ, აქეთ-...გადაცვივდნენ, ცოლშვილით ლეკებ-შე-...დასახლდნენ...

...ნელი კი თითქმის მუქთათ დაჰყიდეს, ...ძროხები სამი მანეთიდგან-ხუთამდინ, ...ფასათ, წვრილმანი ავეჯეულება ხომ, ...მკითხამთ, თითონ კიდევ დაოცლებუ-...კუჭ-ცარიელნი მიეხვეწებოდნენ გაღმა ...მიდ, ზოგმა სული გზაზედ დალია, ...ლეკებშიდ დაიხოცნენ, ზოგნი დაბრუნ-...და თავიანთ მიწა-წყლის გვერდით ...ნ საუკუნო ძილს; ასრე რომ ორი ...ი გადასახლებულებისა დაიხოცნენ და ...გადარჩნენ, დღესაც წელ-მოწყვეტი-...არიან შიმშილისაგან და ულმრთო ...ლებისაგან.

...ქიზიყშიდ დარჩნენ და ვინც ლეკე-...დაბრუნდნენ, რადგანაც იქაური ჰავა ...ვერ იტანენ, იმათი მდგომარეობა ამ ჟამათ საშინელია: წარსულ იანვარშიდ ქიზიყის სოფლებშიდ მოვგზაურობდი და იმისთანა შესაზარი სცენები ვნახე, რომელნიც ლახვარსავით გულს გმირამენ; მებრალებიან, უფ. რედაქტორო, თქვენი მკითხველები, რომელთაზედა იმ სცენებს დაუვიწყარი და მაკლიავი შთაბეჭდილება ექნებათ, ამისთვის იმ სცენებს აქ აღარ აღვსწერ. . . . ჩვენი დროება თავს იქებს თავის კაცთ-მოყვარეობით; მიბძანეთ, რაშიდ სჩანს ეს კაცთ-მოყვარეობა! თუ ამ ცოტა ხანშიდ საზოგადოებამ არ ამოუჩინა ღონისძიება სიცოცხლისათვის, თქვენ დაინახამთ, რომ შემდეგი კამერალურის აღწერა გვიჩვენებს ნახევარ რიცხვს უწინდელ რიცხვისა.

**სიღნაღელი.**

ამ ამბავს გარდა კიდევ ხსვა იწერება იმავე გაზეთში შემდეგს:

უფ. რედაქტორო! წარსულს იანვარს მე მომიხდა ქიზიყში მგზავრობა. თუმცა მე ვიცოდი, რომ სიღნაღის მაზრაში შიმშილია, მაგრამ მაინც ისეთი შიმშილი არ მეგონა, როგორიც ვნახე. ბევრს ხომ, რაც ქონიათ მიუყიდ-მოუყიდიათ, რაცა გაიყიდებოდა, ზოგს დაუნებებიათ სახლისა და მამულისთვის თავი და სახლობით წასულან ლეკებში, სადაცა მარტო პურის ჭმევაზედ ემსახურებიან; ზოგნი კი ვერ დახწევიან ქიზიყს... როდესაც სარჩო გამოლევიათ, მაშინ დაუწყიათ საქონლის ხოცვა და მარტო იმათი ხორცით გამოდიოდნენ.

საქონელიც სულ გაჟლიტეს, ეხლა აღარ იციან რა ქნან. ფულს იმათ აღარავინ ენდობა, სასესხები აღარსად არის, ოჯახის შვილებს არაფერი არა აქვთ რა, რომ ეთხოვნათ და იმით როგორმე იოლათ წასულიყვნენ.... ერთი სიტყვით, იმათი მდგომარეობა საშინელია. სახლის ავეჯეულებას: საბანს, ბალიშს, ცულს, წალდს, კოკას აძლევენ ერთის ქერის პურზედ. ერთი ვაქრელი დედაკაცი სთხოვდა ერთს შემძლე კაცს, რომ კოკაში ერთი ქერის პური მიეცა. ოჯახის შვილმა კითხა: დედა, სხვა კოკა გაქვთ?—არა.—მაშ წყალს რით მოიტანთ?—არა უშავს რა, წყალზედ ვივლით, იქა ვსვამთ. (უნდა მოგახსენოთ, რომ ქიზიყელებს წყაროები სახლზედ შორს აქვთ)... ბალბა და სხვა მცენარეები, რისიც ჭამა შეუძლია კარგათ მომშიებულს კაცს, სულ ძირიანათ ამოავლეს ქიზიყში.....ამ სიღარიბეს თან მოყვა ისეთნაირი გარყვნილება, ქურდობა, რომ არ გამოითქმება....თავიანთ ქალებს ლეკებს ყიდიან... და იმით იმართლებენ თავს, რომ ცოცხალი მაინც დარჩება ჩემი ქალიო...

მოდი და ამისთანა ამბისთანა ამბავი ნუ დაგაფიქრებს.

---

ჩვენ ვისაც შინ პური გვიდევს და ცოლშვილი მაძღრათ გვყავს, ამაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენისთანა წვრილ შვილი შიმშილით იხოცება, დიდით პატარამდინ გაჭირებაშია, და დედა შვილსა ჰყიდის, შვილს დედმამასა შორდება, ძმა ძმასა. ძმისა და შვილის პატრონები ჩვენცა ვართ, გული უნდა გვქონდეს და ადამიანის შეწყალება მოგვინდომოთ.

ეხლა მთელ ქალაქში ეს ლაპარაკია, რომ ფული შევკრიფოთო და გავუგზავნოთ დამშეულ ხალხსაო. ფული იკრიფება ჩვენის გაზეთის რედაქციაში.

ყველასა ვიხოვთ; რომ ამ გაჭირებაში ხელი მოუმართონ ქიზიყელებსა და ფული შეკრიბონ თუნდა თითო გროშობით იყოს; ვისაც მეტი შეძლება აქვს და ადამიანის გული აქვს, იმედი გვაქვს, არ დაიშურებს გაჭირებულისათვის მომატებულს და სხვებსაც წაახალისებს.

მეტადრე ქიზიყის ახლო-მახლო სოფლებს, ბევრი შეწევნა შეუძლიათ მისცენ დამშეულებსა, კახელები პურადობით გათქმულები ყოფილან და არიან. ისე დიდი შეწევნა არა ვის არ შეუძლია, არცერთ მსა[illegible] არ შეუძლია, როგორც მთელ კახეთსა, რადგანაც უფრო ახლოა, კახელებს შეუძლიათ პურის მიშველება, ან კიდევ ქიზიყიდან გამოსულები სოფელში მიიღონ და დაასახლონ

დროებით და საჭმელ-სასმელი მიაშველონ. გაზაფხული დგება, ხნა-თესვაში ხელის გამართვა შეუძლიათ. ან თესლით, ან გუთნით, ან მუშით. ქვეყანა ასეა. დღეს ერთს უჭირს, ხვალ მეორესა. დღეს ქიზიყელებს უჭირთ, ხვალ იქნება კახელებს გაუჭირდეთ და თუ დღეს სიკეთე დასთესეს, ხვალ ისევ უკუბრუნდება და ქიზიყელები გადაუხდიან.

სხვა მოშორებულ ადგილებში ფულის შეკრება შეუძლიათ და გამოგზავნონ ან «დროების» რედაქციაში, ან ჩვენს «სასოფლო გაზეთში» რამდენს მივიღებთ ფულს სიღნაღში გავგზავნით სანდო კაცთანა. გამოგზავნონ ფულისა და აგრეთვე შემწირველების სიაც შეიძლება ამ ადრესით:

*Въ редакцію Сельской Газеты. Въ тифлисъ.*

ფულის შემწირველების სია უეჭველად საჭიროა, რომ დაიბეჭდოს ვისგან რა მიგვიღია.

---

«დროების» რედაქციას შიმშილობისაგან შევიწროებული ქიზიყელების შესაწევნელად დუშეთიდამ სამი თუმანი და ნახევარი მოუვიდა და თან წიგნი. ამ წიგნსა და შემწირველების სიას აქვე ვბეჭდავთ, დიდის სიამოვნებითა:

ბატონო რედაქტორო! დღეს მოგვივიდა დუშეთს თქვენის გაზეთის 8 №-რი, რომლიდამაც შევიტყეთ ფრიად სამწუხარო ამბავი ქიზიყში შიმშილობის თაობაზედ. გაჭირებულთა საშველად ხელ-და-ხელ მოვაგროვეთ სამი თუმანი და ხუთი მანეთი. გიგზავნით მაგ ფულს თქვენ, რაული ეგ მიაშველოთცა ქიზიყელებსა.

1. ილია ჭავჭავაძე — 10 მან. »
· მიხეილ რატიევი — 5 მ. »
3. სოლომან ციციშვილი — 3 მ. »
4. მიხეილ ალექსიძე — 1 მ. »
5. ჯიმშერ გოგიევი — 5 მ. »
6. ნიკოლოზ კობიევი — 1 მ. »
7. სოლომან ფარესოვი — » 50 კაპ.
8. ალექსანდრე კობიევი — » 50 კაპ.
9. ზურაბ მოროთულაძე — 1 მ. »
10. მიხეილ ტერტეროვი — 1 მ. »
11. ნიკო ჩიგიანი — — 1 მ. »
12. კონსტ. თუმანოვი — 3 მ. »
13. იოსებ ალავერდოვი — 2 მ. »
14. ბაღდან ყაზაროვი — 1 მ. »

---

# სოფლის საამხანაგო ბანკი

## პირველი საცოდნი რამ ბ.მკისათვის

### II *)

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენშიაც და რუსეთშიაც ძალიან დიდი ლაპარაკია სოფლის ხალხის სიღარიბეზე და უქონლობაზე. ყველა კარგათა ხედავს გლეხის გაჭირებულ მდგომარეობას და ვისაც ადამიანის გული აქვს, იმასა ფიქრობს რა ღონისძიება უნდაო რომ ამისთანა მდგომარეობისაგან გამოვიდესო. ამ საქმეზე ლაპარაკობს თითონ გლეხობა, ერობა და გაზეთებიც ამისა გამო რუსეთში, ლაპაკია სახელმწიფო ხარჯის ახალ წესზე. გზების გაყვანაზე, ტყების გაშენებაზე, პურის ვაჭრობაზე და სხვა და სხვა საჭიროებაზე. ერთის სიტყვით ბევრ იმისთანა საჭირო საქმეებზეა ლაპარაკი რომელიც გლეხის ღარიბულ ცხოვრებას ეკუთვნის. სურვილი ის არის, რომ ცოტაოდნათ შვება მიეცეს სოფლის ხალხსა.

ხალხის სიღარიბის მიზეზები ბევრია და ყველას ჩამოთვლას არ დავიწყებთ. ვიტყვით მარტო ერთ მიზეზსა, ხალხში ფულის უშოვნელობასა.

ყველამ ვიცით რა ძნელია სოფელში ორიოდ მანეთის შოვნა. თესლის საყიდველათ, ან ხარ-კამბეჩისა, ან ცხენისა, ან კიდევ სხვა საჭირო რისთვისმე საყიდლათ ფული რო უნდება გლეხ-კაცს, თხუთმეტი კარი უნდა ჩამოიაროს, სოფლიდგან სოფელში უნდა წავიდეს, ან ქალაქში უნდა გაემგზავროს და ისიც, ვინიცის, იშოვნის თუ არა. თუ იშოვნა და ორმანეთს და სამ მანეთს სარგებელს აძლევს, ამისთანა დიდ სარგებლისაგამო ჩვენი გლეხობა ვალით ყელამდინ არის ჩავარდნილი. ვაჭარი ხალხი ფულის პატრონი უსვინიდისოთ წლისწლობამდინ თავის სარგებელს უმატებს და გლეხობა უფრო და უფრო ვალში შედის. ამ ვალისაგამო შემოსულელ პურს გლე-

*) თავი ნახე № 1

ნი ბალახის ფასათა ჰყიდის ფულის პატრო
ზე, ამ ვალისაგან არის, რომ ნახევარ ფას
მუშათ უდგება შეძლებულ კაცსა, ან ის
ფასათ უდგება, რასაც ფულის პატრონი
ნიშნავს. ამაებისაგამო რადგანაც გლეხი კ
ხედავს რომ ფულის პატრონი უსვინიდის
ეპყრობა თითონაცა ცდილობს რომ
გორმე პირობა მოშალოს და მიცემულ
ყვას არ ასრულებს. აი, ასე იხლართება ს
ლის ხალხის მდგომარეობა, ვალი და უ
ლობა ერთის მხრით და მეორეს მხრით
ვალი და სასამართლოებში სიარული გ
კაცს სხვა უარეს ვალებში აგდებს და ბო
აღარ ეღება შვილის შვილობამდინ.

ამ ვალისაგან გამოყვანა რიგიანათ გა
თულ სოფლის სახალხო ბანკებს შეუძლ
სოფლის ბანკები ფულს პატარა სარგებ
უნდა გასცემდნენ ხოლმე. ამისაგამო
ხობა მალე განთავისუფლდება ვალისაგა
ვაჭრების უსვინიდისობას გადარჩება. აი,
ტომაც ყველა სოფლის ფიქრი და ზრ
ეხლა ეს უნდა იყოს რომ ყველა სოფ
ბანკი რიგიანი გაიმართოს. სოფლის
კაცებმა ღარიბმა, თუ მდიდარი, მა
ლისია თუ უბრალო კაცი.-ყველამ,
სოფლის სიკეთე უნდა და ღარიბ გლე
ფეხზე წამოყენება ეს საქმე უნდა ითა-

### III

ვთქვათ რომ გამოჩნდნენ სოფელში
ოროლა კაცები და ბანკის გამართვა
დომეს. ყველაზე პირველათ საჭიროა
დეთ, როგორი ბანკი უფრო მოუხდებ
ფელსა.

ორგვარია, ერთ ბანკს სასოფლო
ნას ეძახიან. მეორეს საამხანაგო ბანკსა.
შევიტყოთ სასოფლო ხაზინა რომელ
საამხანაგო ბანკი რომელი და მერე მ
ბით სოფლისთვის რომელი უფრო
იქნება და საფუძვლიანი.

სასოფლო ხაზინა ასე იმართება ხოლმ
მთელ სოფელში მოგროვებულ ფულს

დებენ სასესხებლოთა, პატარას სარგებლითა. ეს ფული მამასახლისს და ნაცვალს აბარია რომ იმათ გაასესხონ და ისევ ჰკრიფონ. ამისთანა ბანკისაგან ყველა გლეხ კაცს შეუძლია ისესხოს.

საამხანაგო ბანკი ასე იმართება, რომ ოცი ან ორმოცი, ასი, ორასი კაცი ერთმანეთს პირობას მისცემენ, ფულს გამოიღებენ კაცის თავზე რამდენიც უნდათ და თავიანთში რამდენიმე კაცსა, ვინც უნდათ, ირჩევენ, იმას აბარებენ ფულსა და ანგარიშს მოსთხოვენ ხოლმე წელიწადში ერთხელ ან ორჯელ. მამასახლის ნაცვალს და მოსამართლეებს, სუდიებს ამ ბანკთან ხელი არა აქვთ. ამ საამხანაგო ბანკიდგან სესხის გატანა მარტო ამხანაგებს ეკუთვნის და ვინც ამ ბანკში ამხანაგათ არ შემოვა, არ შეუძლია ფული ისესხოს.

გამოცდილებამ დაანახვა ხალხსა, რომ საამხანაგო ბანკი სჯობს სასოფლო ბანკსა. აგერ ოციოდ წელიწადი იქნება რაც რუსეთის სოფლებში ბევრგან სასოფლო ხაზინა იყო და გლეხობა კი სარგებლობას არა ხედავდა. ეხლა კი, ამ ოთხ ხუთ წელიწადში, რაკი საამხანაგო ბანკები გამართეს ყველგან ძალიან კარგათ გაისაძლოსეს, ხალხსაც კარგა გამოადგა და თან და თან უფრო მატობს საამხანაგო ბანკები.

სასოფლო ბანკების ხსენება კი თითქმის არსად აღარ არის. რა არის ამის მიზეზი, რომ სასოფლო ხაზინა ჰქრება და საამხანაგო ბანკები კი მრავლდება?

მიზეზი ის არის, რომ სასოფლო ხაზინა თუმცა მთელის სოფლისთვის არის და უფრო მეტი სარგებლობა უნდა მოეტანა გლეხობისათვის, სრულიად სარგებლობა არ მოჰქონდა და თუ ხეირი ჰქონდა ვისმე, ეს ხეირი ღარიბისაკენ კი არ იყო უფრო შემძლებულისაკენ იყო. სასოფლო ხაზინა მთელი სოფლის გლეხობისა იყო, მაგრამ ბევრი გამოდიოდა გლეხობაში დაუდევარი კაცი, თვალ ყურს არ ადევნებდა ბანკის საქმესა და ვისაც ბანკის ფული ებარა, იმის მოქმედებას არ დასდევდა, ანგარიშს არა სთხოვდა. ამასთანავე ბანკის ფული სოფლის სასამართლოს მამასახლისის ან ნაცვლის ხელში იყო. მამასახლისს და ნაცვალს რაც უნდოდა, იმას ჩადიოდა და უკანონობას შვრებოდა. ვისაც უჭირდა, იმას კი არ აძლევდა ფულსა, იმას აძლევდა ვინც კაი სადილს გაუმართავდა. ღვინოს დაალევინებდა, ან თავის მეგობარს და ნათესავს ასესხებდა. ბანკი იმისთვის იმართება, რომ გაჭირებულმა კაცმა პატარა სარგებლით ფული. იშოვნოს სასოფლო ბანკებიდამ მამასახლისები და ნაცვლები ფულს უვადოთ აძლევდნენ ზოგიერთ გლეხებსა თითქო თავისი საკუთარი იყოსო; ამ გლეხებში ისეთი უსვინიდისოებიც გამოდიოდნენ, რომ იღებდნენ და გაჭირებულ გლეხა ურიის სარგებლით აძლევდნენ. ამისთანა კაცები მამასახლისს და ნაცვალს რასაკვირველია მეგობრობდნენ და სოფლის ფულებს თავის ჯიბის ფულათა ხდიდნენ.

საამხანაგო ბანკი ამიტომ არის კარგი, რომ ყველა ამხანაგს, ვისაც ფული შეუტანია საამხანაგო ბანკში, თვალ ყურს ადევნებს ბანკის საქმესა, რომ თავისი წილი შეტანილი ფული არ დაჰკარგოს; ამასთანავე მამასახლისს და სოფლის სასამართლოს ამაში საქმე არა აქვს და ბრძანება არ შეუძლია. ბანკის პატრონობისათვის და ანგარიშებისთვის ბანკის ამხანაგები თავიანთში ირჩევენ კაცებსა, იმათ აბარებენ საქმესა და ხშირათ ანგარიშსა ჰკითხავენ. ფული სესხად ეძლევა მარტო ამხანაგსა და არა სხვასა. ყველა ამაებისაგამოთ ამხანაგობას უფრო კარგათ მოჰყავს თავისი ბანკის საქმე.

აი, ამისა გამო რუსეთის სოფლებში ამ უკანასკნელ დროებში საამხანაგო ბანკები ბევრი იმართება; ჩვენც ამ მაგალითს უნდა მივხედოთ და ჩვენს სოფლებში თუ დავაწესოთ, საამხანაგო ბანკები უნდა დავაწესოთ, თორემ როგორც ჩვენი ამბავი ვიცით სხვა გვარი ბანკი ხელს არ მოგვცემს.

(შემდეგი იქნება)

## სამეურნეო ნაწილი

### ხბოების მოვლა

როდესაც რძით ზდიან ხბოებს მხედველობაში უნდა იქონიონ, თუ რამდენათ საჭიროა რძე ოჯახობაში, ან ისიც უნდა [illegible] ოჯახობაში, რისთვის უფრო აშენებენ საქონელს. ამას გარდა ხბოსათვის დანიშნული რძე ყოველთვის იმის შესაფერი წონისა უნდა ახმარონ და ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიაქციონ, თუ რამდენათ ფასობს თვითონ რძე ოჯახობაში. იქ საცა საქონელი უნდათ დიდი გაზარდონ და ამასთან ღონიერიცა, იქ ხბორებს ზდიან მარტო რძით თითქმის ოთხი თვე; იქ, საცა რძისათვის ჰყავთ მხოლოდ საქონელი, ხბოს მარტო ერთ თვეს აწოვებენ და მერე გააშვებინებენ, და იმის მაგიერათ აჭმევენ მხოლოდ ერბოს ნადღებსა, ფქვილსა და საზოგადოთ იმისთანა ნივთიერებას, რომ შემდეგ რძეს გვრიდეს ძროხებსა. შოტლანდიაში, მაგალითად თუ ჰსურთ ბევრი რძე მისცეს შემდეგში ძროხამ, ხბოს დაბადებიდანვე შეაჩვევენ წყლიან საკვებსა, მერე ყოველდღე ბანენ ჯიქანსა და ძუძუებს უჭიმვენ, ვითომც ამ საშუალებით შემდეგში ძროხები შეიქნებიან ბევრი რძის მომცემნიო. უფ. ხოდეცკი უკვირდებოდა, თუ რა გავლენა აქვს რძის საზდოს ხბოებზე და შემდეგ ძროხებზე. აი, რა აზრისა არის ის ამ შემთხვევაში:

ა, თუ ხბოებს ბევრი რძის საკვები ექნა პატარაობიდგანვე, ისინი გაიზდებიან დიდები, მაგარნი და მუშაობაშიაც ღონიერები იქნებიან. ბ, თუ ხბოებს ბევრი რაე ექნათ პატარაობისას და ამასთანავა იმათ აძლევენ ნოყიერ საკვებსა ძალიან ღონიერები და მაგრები გამოვლენ. გ. თუ ხბოებს პატაობიდგანვე ბევრი რძე ექნათ და ამასთანავე სხვა საკვებიც. ბევრი ეძლიათ, რომელნიც ნოყიერნი არ არიან, მაგალითად ბევრი წყლიანი საკვები ექნათ, ამისთანა ხბორებს დიდობაში ძალიან გასუქდება სჩვევიათ დ, თუ ხბოს ცოტა რძე ექნა, ის დიდობაში რაღაც დალეული იქნება და ავათმყოფი სახისა, ამგვარი საქონელი დიდი არ იზდება, დალეულია, უღაზათო მოყვანილია, არც ღონიერი გამოდის და არც ხორცი აქვს; მაგრამ თუ პატარაობიდგანვე ექნათ ბევრი რძის მომცემი საკვები, რასაკვირველია

ძალიან მეწველებათ გამოვლენ. მაგრამ ბევრი რძისაგან თვითონ საქონელი თითქოს რაღაც დაცემული და ავათმყოფია. ამ დავრიდებიდგან თვითონ საქონლის მეპატრონემ უნდა მოისაზროს რამდენი რძის საკვებიც უნდა აძლიოს პირუტყვს, რომ იმთვისებისა ყოველის რა საჭიროებისათვისაც ზდის ის რქიან საქონელს, იმის დაგვარად უნდა აძლიოს ხბოს რძე და არ ჰქონდეს იმაზე ბლომათ, რაც საჭიროა.

ერთი სიტყვით ხბო სიმსუქნეს არ უნდა მიაჩვიოს. რიდეზელმა სცადა: ძალიან მეწველი ძროხების ხბოებს ცოტა რძე აძლია საკვებათ და მეოთხე, მეხუთე შთამომავლობაში სულ აღარ იძლეოდენ ძროხები რძესა. უწინდელი მეწველობა აღარ ეტყობოდათ. ბარონმა რიდეზელმა გამოიანგარიშა და დარწმუნდა, რომ კარგი ჯიშისა და კარგი საქონლის მოსაშენებელათ ხბორებს პატარაობაში უნდა ეძლიოს დაბადების დროს თავის წონის მესამედი. მაგალითად. ხბო რომ დაბადების დროს იწონიდეს სამოც გირვანქას, იმას უნდა აძლიოს დღეში საკვებათ ოცი გირვანქა რძე და თუ ხბო მაგარი და ძვალსხვილია, იმას ოცდა შვიდი პროცენტის მეტი არ უნდა მიეცეს, და შემდეგ როცა ხბო იზდება ცოტ-ცოტათ უნდა უმატოს ამ ზომას; მაგრამ მესამედზე მეტი, რასაც პატარაობიდგან იწონის, არაოდეს არ უნდა მიეცეს.

ჟუფ. რიდეზელი აი როგორ იქცევა ხბოების ზრდაში. პირველათვე ხბოს აძლევს საკვებათ მესამედ წონას რძეს, რამსაც თვითონ ახალ დაბადებული ხბო იწონიდა. ერთი თვის შემდეგ ამ საკვებს თან და თან უკლებს მესამე თვის გასვლამდის და იმის მაგიერათ თან და თან უმატებს სხვა ნოყიერს საჭმელსა, საზოგადოთ ყველას ამჯობინებენ ამნაირს რიგს მარჯვე ხბორების გამოკვებისას. ორი თვის განმავლობაში ხბორებს უნდა აძლიონ ჯერ თორმეტ-თორმეტი გირვანქა, მერე თოთხმეტ-თოთხმეტი და შემდეგ ოც-ოცი. ორი თვის შემდეგ რძე თან და თან უნდა უკლონ და მიაჩვიონ ნაღებ მორთმეულ რძის ჭამასა. მაგრამ თუ ნაღები აქვს რძის მორთმეული, უნდა გადმოადუღებინო და ისე აჭამო, თორემ ხბოს მუცლის ფაღარათობას აუტეხს. შეიძლება წაქეც აჭამო, ყველს რომ ამოიყვანენ. მეცხრე კვირიდგან ხბოს აჩვევენ ფქვილის წვენის სმას, ან ტკბილ მინდვრის თივას თუ საჭირო იქნა, შეიძლება მეექვსე კვირასაც გაამშვებინოს კაცმა რძის ჭამა, მიაჩვიოს ნაღებ მორთმეულ რძის სმას, ან სულაც მოსწყვიტოს ძუძუსა და დაბალი ქატო აჭამოს თითო გირვანქა რძის მაგიერათ, მეოთხედი გირვანქა პური, ან ქატო უნდა აუსვარო წყალში და აძლიო საკვებათ; როდესაც ამ გვარათ ოთხ გირვანქამდის შეიყვან ფქვილის ძლევის შემდეგ, მეტი რძე აღარ უნდა აძლიო და ცოტ-ცოტათ თივას უნდა შეაჩვიო.

რადგან ხბორების ზრდაზე მოგვლის ლაპარაკი, საჭიროა იმაზედაც ვილაპარაკოთ, თუ რა ავათმყოფობა სჩვევია როგორც ხბორებს ისე ძროხებსა, თუ ვინიცობაა ჯეროვანათ და რიგიანათ არ ექნათ საკვები.

მესამე, მეოთხე დღის შემდეგ, როცა ხბო დაიბადება, იმას ხშირათ შეჰკრავს ხოლმე. პირველშივე რომ არ აწოვებენ დედის რძეს, ეს იმის გამო დაემართება. ყველამ იცის, რომ ძროხის პირველს რძეს ის თვისება აქვს, რომ რაც ცუდი და უწმინდური რამ დაგროვილა ხბოს წელებში, სულ ერთიანათ გაიტანს გარეთ. თუ ვინიცობაა ხბო შეკრა, თბილი წყალი და შიგ გაქნილი თაფლი უნდა აძლიონ ამ შემთხვევაში. თაფლი საფაღარათო წამალია. თუ ამან არა არგოს რა, მაშინ დილით და საღამოთი თითო რუმკა კაკლის ზეთი უნდა ასვა; ათ ან თორმეტ საათს შემდეგ გააფაღარათებს და გასწმინდოს ყოველგვარის უწმინდურებისაგან. უფრო ხშირათ მოსდით ხბორებს ფაღარათი იმისგამო, (რომ ძალიან) ბევრს ნოყიერს საკვებს აძლევენ ახალმოგებულ ხბორებსა. მოზელილი ქატო, ან მუხუდო, ან ბევრი ქერის ჭმევისაგან ძროხებს ძალიან მსუქანი რძე უდგებათ ძუძუებში, რომელსაც სათუთი, ან ნაზი კუჭი ახალ დაბადებული ხბორებისა ვერ იტანს და ამის გამო ფაღარათობას აუტეხს ტანში; თუ ხბო გაცივდა, ან თუ მარილიანი რძე ასვეს, რომელიც სწმენდავს ხბოს სტომაქს ან აძლევენ მარილიან რძეს, რომ მალე მოგვარონ; თუ ხბოს დაუწყეს რძეში ჩაყრილი პურის ჭმევა, როცა ჯერ კიდევ კუჭი კარგა არ გამაგრებია. ყველა ამ მიზეზებს მოსდევს ხბოს ფაღარათობა. თუ ფაღარათობა მორეული აქვს, დღეში ორჯერაც გავა კარში. ხბო აღარის სჭამს, კანი უცივდება, თვალები ჩავარდნილი აქვს და კუჭი გამოფენთხილი. თუ წევს, ძლივს ადგება ფეხზე და თუ დგას, ფეხები ეკეცება, ირხევა წაიფორხილებს და კიდეც წაიქცევა; ბოლოს თუ არა გაეწყო რა სიფაღარათეს კიდეც მოკვდება. ეს ავათმყოფობა ექვს დღეს გაგრძელდება, ხან და ხან თორმეტ დღემდინაც გასტანს, მაგრამ როგორც კი გამოჩნდეს ხბოს მუცლის სიფაღარათე, მაშინვე, უნდა მოაცილო დედას, ცალკე დააყენო თბილს სადგომში, ბევრი არ აწოვო, არც გამახურებელი სასმელი რამ აძლიო. მხოლოდ უნდა აჭამო ცოტა და ადვილათ მოსანელებელი საჭმელები. წამლობა ასე უნდა: ხშირათ აწოვე და ცოტ-ცოტა. ყოველ ორი საათის განმავლობაში უნდა მისცე თბილ წყალში გახსნილი ქატო და შიგ არეული აყაჩოს თავების ნახარში და დღეში ოთხჯერ მაინც უნდა, ასვა რძეში გაქნილი კვერცხის გული. ამბობენ ავათმყოფს ძალიან მოუხდება იმ დროს რომ ორ უმ კვერცხს გადააყლაპებდნენ და ამის შემდეგ ორ სამ საათს არცარა ასვან რა და არც აჭამონ. თუ პირველსავე წამლობამ არ შესწყვიტა ფაღარათობა, ერთს დღეს შემდეგ კიდევ უნდა გადააყლაპონ ორი კვერცხი. აგრეთვე ფაღარათობის შესაწყვეტ წამლათ ძალიან კარგია ირს სტაქანი რძეში რომ ორი კვერცხის გული და ამის და იმის მეოთხედი უნდა გაურიო თაფლნარევ ყაყაჩოს წვენში. ეს უკანასკნელი წამალი აი როგორ კეთდება. უნდა აიღო ერთი ოცი თავი ყაყაჩო, ჩადო კარდალში, დაასხა იმდენი წყალი, რომ და-

ფაროს და შემდეგ ერთს საათს მაინც უნდა ხარშო. უნდა გაწურო შემდეგ ეს წვენი, სამი კოვზი თაფლი უნდა აურიო და მერე უნდა გააციო. ეს წამალი წყლების ანთებას აცხრობს და მალე არჩენს სიფალარათისაგან.

## სახალხო ექიმობა

### შინაური საშუალებანი სხვა-და-სხვა ავათ-მყოფობისაგან

მთვრალობის გადაჩვევა: უნდა დაფშვნა ერთი გირვანქა (რწყილის ბალახი) ერთი სტოლის კოვზი აბზინდასი და ერთი სტოლის კოვზი როლანი, უნდა აურიო ერთმანეთში და დაასხა ზედ ნახევარი თუნგი ოტკა კარგათ დააჯანჯღალო და ჩაასხა თიხის ქოთანში, მაგრათ დახურო თავი და დაფისო პურისა, ან დიკის ცომით. ქოთანი უნდა იდგეს სამ დღესა და ღამეს თბილ ალაგას, მაგალ. ან კერიის ძირში თბილათ, ან თუ ზაფხულია, მზეზე უნდა დადგა და ხშირათ დაანძრიო. სამი დღის შემდეგ უნდა გაწურო პირსახოცში და თვითონ ბალახიც შემდეგ ხელით უნდა გამოწურო. ამის შემდეგ დადგება წვენი, რომელსაც სასიამოვნო მწარე გემო ექნება. თუ ავათმყოფმა არ იცის, რასაც სვამს, ისა სჯობია. ამ სახით მომზადებული სასმელი უნდა დაუდგა მთვრალს კაცს წინ და რამდენიც ერჩიოს, იმდენი სვას. ეს წამალი. ყველაზე ერთად არ მოქმედებს: ზოგს პირიდგან ასაქმებს, ზოგს აფალარათებს, ან ოფლს მოჰგვრის. თუ პირველსავე მიღებაზე არ გასჭრა, უსათუოდ მეორეჯერ და მესამეჯერ მაინც იმოქმედებს; ავათმყოფს ისე შეძულდება სმა ოტკასა და ღვინისა, რომ ოტკის სუნიც რომ ეცეს, მაშინაც კი მოუვლის გულის რევა.

ციების წამლობა.— უბრალო ხალხში აფთიაკისა არა იციან რა და ძვირთ კიდეც იქიდგან წამლის ღება; ამის გამო ამათთვის საჭიროა ისეთი წამალი, რომ შინაც მოიძებნებოდეს და გლეხს არ გაუჭირდეს იმის შოვნა. მაგალითად, თუ ვისმე გააცივა, უნდა აიღოს ერთი წვეთი სკიპიდრისა, ნახევარი რუმკა გადმოდუღებულ წყალში უნდა ჩაასხას და დალიოს. საღამოს იმოდენავე წყალში ორი წვეთი სკიპიდარი, მეორე დღეს სამი წვეთი სკიპიდარი და სხვა; ასე უნდა უმატო სანამ თორმეტ წვეთამდის არ შესრულდეს და მერე როგორც უმატე ისე უნდა უკლო. ეს წამლობა ძალიან მარგებია ციებაში.

* *

ყვანა, ანუ მუცლის წამლობა. ექიმი ლელეველი იწერება, რომ მუცლის სიფალარათე რომ მოსვლია კაცს, იმდენათ რომ ველარ შეუწყვეტიათ, ნავთი მიხმარიათ ათი წვეთი ღვინოში და ყოველ დღე დამილევინებიათ და ძალიან რგებიათ. უნდა შენიშნო, რომ, თუ სიფალარათეში მუცლის ხელით დასრესაზე სხვა და სხვა ადგილს, ტკივილს არა გრძნობს ავათმყოფი, მაშინ ზემოხსენებული წამლობა უფრო მალე იმოქმედებს.

* *

ყბაყურისა და ხველების წამალი. უნდა აიღო ტათლიბი და უნდა დაამტვრიო წმინდათ, ჩადვა ჩაიჩიკში და ორი წილი წყალი დაასხი ზედ; როდესაც კარგა მაგარი წვეთი გამოვა, მერე სასმელსავით უნდა ასვა. ყბა ყურა თანდათან და ცოტა ხანს იქით სულაც გაივლის.

* *

დამწვარის მორჩენისათვის ძალიან კარგია ხის ნახშირი. უნდა დაფშვნა წმინდათ, ან აფთიაკიდგან უნდა იყიდო წმინდათ გაცრილი ნახშირის მტვერი. ავუთქული ადგილი უნდა გაკვეთო ნემსით ისე, რომ ხორცს არ მოხვდეს და ზევიდგან უნდა დააყარო გაცრილი ნახშირი მეოთხედი გოჯის სისქე და მერე ფამფოთ უნდა შეუხვიო. რამდენსამე საათს შემდეგ, როცა ნახშირ-წყალი გაუდგება, მერე იმის მაგიერათ ახალი ნახშირი უნდა დააყარო, სანამ ისიც არ დასველდება. ამნაირათ უნდა მოიქცე, ვიდრე წრმოლის დენა არ შეწყდეს. თუ იარა ახალია, ერთი ნაწილი კრეოზოტი (აფთეკაში იკითხე) ოთხმოც იმდენ წყალში გაურიე, ამისთანა ცივი წყლით უნდა დაასველო ჩვარი და დაბლ[illegible]

---

## «დროებიდგან»

ოზურგეთიდგამ, იანვრის 3-ს.

ეს მეორე წელიწადია, რაც ოზურგეთიდგან ხშირათ ვკითხულობთ კორრესპონდენციებს «დროებაში.» ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენებურ კორრესპონდენტებს ხშირად ავიწყდებათ უმთავრესი და დიდად გამალარიბებელი მიზეზი ოზურგეთის უეზდის გლეხებისა.

როგორც მოგახსენეთ წარსული წლის «დროების» ერთს ნომერში, ახლაც ისევ ისე არსებობს ქურდობა გურიაში. როგორც მიამბო სარწმუნო პირმა, რომ ვიანვარიშოთ, ოზურგეთის უეზდში, ამ ერთის წლის განმავლობაში, ორას ცხენამდის დაკარგულა და ამ რიცხვიდგან ერთიც არავის არ ამოუგია. ახლა წარმოიდგინეთ ამ ცხენების მეპატრონის საცოდაობა: თავ-მოყვარე გლეხს ერთი ცხენის ფასი ვალათ აუღია და ისე უყიდნია, იმ იმედით, რომ ეს ცხენი ასარგებლოს, ვალს და მტერ მოყვარეს პასუხი მისცეს. ამ სიკეთის დროს წამოუვლის ავაზაკი და ამ ცხენს ხელიდგან აცლის. გლეხი-კაცი რჩება ხელ ცარიელი; ის ორ-სამ თვეს ცხენს დაეძებს, ერთ იმდენს ძებნაში ხარჯავს და მას უკან ისევ ისე ხელ-ცარიელი ბრუნდება თავის სახლში და ვალი საშვილის-შვილოთ რჩება. მაგრამ ეს კი გასაკვირალია, ღმერთმანი, რომ საით მიჰყავთ ეს ცხენები! ნუ თუ ჩვენ გარშემო მცველები არა გვყავს, რომელთაც ჯამაგირი ხაზინიდგან საკმაოთ ეძლევათ!

მე კარგათ მახსოვს ლოცვა, რომელიც ამ გვარ შემთხვევაში ჩვენებურ გლეხობას სახელმძღვანელოდ ჰქონდათ. ვინც რამე «ლოცვას» იცოდა და შეულოცავდა გარეთ ღამე დარჩომილ საქონელს, ის დარწმუნებული იყო, რომ მის საქონელს არც მგლისაგან და არც ავაზაკისაგან არა დაუშავდებოდა რა.

აი, ერთი იმ «ლოცვებისაგან:»

«ორშაბათისა დილასა,

გამას გესმამდი, პრასასა,

შემეყარა გოგინაი,
პირსა ლოგინს, კოცნასა,
მაღლა ღმერთმა გადმომიგდო,
ცხრა კლიტული კლიტოსანი,
მგელსა პირი შეუკრი,
მეკობრესა ხელი ფეხი,
ჩააგდე ზღვასა,
ნუ ამოუშობ ხმელეთსა.
– ფული ამ წამს გაქარდება
ჩემი საქონლის მაწყენარი.»

გასაკვირალია ღმერთმანი! რისთვის ვერა გაიგეს აქამომდე ჩვენმა გლეხობამ, რომ ამისთანა უბრალო «ლოცვები» არაოდეს არ მოეხმარება მას, თუ არა მხნეობა და მომჭირნეობა არსებობს მასში.

მეორე ამათი გამაღარიბებელი მიზეზი მამა-პაპური ჩვეულება გახლავს: მოხდა უბედურება, მოკვდა კაცი ვინმე, მაშინვე მტერ-მოყვარეს ატყობინებენ, ვინც ნაცნობია და უცნობი ყველას ბარათს უგზავნიან, სთხოვენ: ამა და ამ დღეს ტირილი გვაქვს, მობრძანდით გვიტირეთ, დაგვაშვენეთო.—გლეხ-კაცს ბარათი მოსდის, რა ქნას თავის მამა-პაპურ ჩვეულებაზედ ვერ გადასულა. გლეხი-კაცი ვალს იღებს, ოც-ოცდა ათს ცხენოსანს ქალს და კაცს პატიჟობს, ჯერ ამ ხალხს თავის ოჯახში უმასპინძლდება და მერე ამ ხალხით თავის მოყვარეს სტირის და ერთმანეთს ფულს აწევს. ამისთანა წყობა მოტირალი განსვენებულის ოჯახს ბევრი მიუვა და თითოეულად სუფრა უნდა გაუშალონ.—ჩემის აზრით ძალიან კარგი იქნება, ამ ჩვეულებას შეამოკლებდნენ.—განსვენებულს ერთ ჯერს წაუგებდნენ, როგორც საქართველოში, და მკვდარს დამარხავდნენ, ვინც მოკეთე არის და გული შესტკივა, შეძლებისა გვარად მკვდარს ფულით შესწირავდეს და იმ ხარჯს რომელიც დღეს ხალხის დაპატიჟებაში და მასპინძლობაში ეხარჯებათ ცოცხლებს მოახმარდნენ.

ამაზედ ამას წინათ, როგორც გავიგე ოზურგეთის უეზდის ნაჩალნიკს, მოუხდენია განკარგულება და ცოტა არ იყო, ერთი წლის განმავლობაში შემცირებულიყო, ეს უსარგებლო და გლეხის გამაღარიბებელი ჩვეულება, მაგრამ ეხლა ჩვენდა სამწუხაროდ ისევ ისე მამა-პაპურ ჩვეულებას მიბრუნებულან და ახალი დაუვიწყნიათ. მართლაც და ნათქვამია: «ჩვეულება სჯულის უმტკიცესიაო.»

ამას გარდა ბედნიერი კალანდობის (ახალი-წელიწადის) ჩვეულება ბევრ ზარალს აძლევს ჩვენებურ გლეხს. ამ დღეს გურიის გლეხობას, თუ დიდი ღორი, ბევრი ქათმები და ღვეძლები, ე ი. დიდრონი ყველით გატენილი პურები, არ დაურჩათ, ისინი დარწმუნებული არიან, რომ ბედნიერი კალანდა გაუწყრება და ცოლ შვილს დაუხოცავს.

სხვა უფ. რედაქტორო. ღვინოზედ ხომ კარგა ხანია მწყრალათ გახლავან გურულები! ეხლა ზოგს ცოტათ ოდესის ვენახი უშენებია და ცოტა არ იყოს იმითი სარგებლობენ, მაგრამ უნდა კი გაგიტყდეთ, ჩვეულებრივ ღვინოსთან განსხვავება აქვს; ამ ღვინოს ბოლოს რაღაც სუნი (ხელი) აქვს; ამის მიზეზი ჯერ-ჯერობით ვერ გამოუკვლევიათ· ჩემის აზრით კი, ამისი მიზეზი ვენახის პატრონები უნდა იყოს, რადგანაც ესენი ჯერ არ არიან ამ გვარ ვენახის შემუშავებაში დახელოვნებულნი.

გ. ხელაძე.

სოფ. მაკაითი. 1873 წ.

---

# განცხადებანი

**ამა 1873 წ. ხელის-მოწერა «დროებაზე»**

მიიღება თფილისში—«დროების» რედაქციის კანტორაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან და ს. მესხთან.

უეზდებში «დროების» აგენტებთან.

**ხელ-მოსაწერი ფასი**

| | გაგზავნით. | | გაუგზავნ. | |
|---|---|---|---|---|
| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| ერთის წლისა — | 6 | » | 5 | » |
| ნახევარის წლისა — | 3 | » | 2 | 50 |
| სამის თვისა — | 1 | 75 | 1 | 50 |
| ერთის თვისა — | » | 60 | » | 50 |

ახალ ხელის-მომწერლებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგვატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

ვთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერის ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე გამოგვიგზავნონ.

---

გენერალ-მაიორი კნიაზ ვახტანგ ორბელიანი, გენერალ-მაიორშა კნეინა დარია ქობულოვისა და მოიჯარადრე კნიაზ ალექსანდრე ივანიჩის ბარატინსკისა გარბოვსკი-ზარენცკი ამითი გამოუცხადებენ ცხვრის, საქონელს, ღორის და აგრეთვე ცხენების ჯოგების მეპატრონეთ, რომ წლევანდელ 1873 წლის დაწყებიდგან იმათ დროებით დააწესეს იმ საძოვარს ადგილებში, რომელიც იმათ ეკუთვნისთ ტფილისის გუბერნიაში შემდეგი ზაფხულის საძოვარის ფასი:

ოითო ცხვარზედ . . . . ორ კაპეიკ-ნახევარი
თითო საქონელზედ . . . ერთი აბაზი.
თითო ღორზედ . . . . . სამი შაური.
თითო ცხენზედ . . . . ერთი აბაზი.

ცხვრების, საქონლის, ღორების, და ცხენების მეპატრონენი, რომელთაც მოჰყავთ და კვლავაც მოინდომებენ თავიანთ ცხვრის, საქონლის, ღორის და ცხენების მოყვანას ზემოხსენებულ ადგილებში საძოვრათ, ამითი იცნობებიან წინათვე რომე, რა ფასსაც გამოართმევენ იმ საძოვრისთვის.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 6 Марта 1873 г.* გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.